წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. შაბათი, 15 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ცალკე 10 კაპ.

№ 81 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 81

გაზეთი

„საქართველო“

ღირს:

მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ.80კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 12 მ.—50 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი: ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში

სადღესასწაულო წარმოდგენა

(12—645—3)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ თავართქილაძეს. (უ.)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმა

ბ. მ. მუხაძე

იღებს ხადოხტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალის ქ. № 4. (ო.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

იყიდება

ხახლი იარმუკაზე, რუსის, ბარონის, ნერსესოვის და დიდ ვანქის ქუჩების მახლობლად. იკითხეთ: პეტროგრადის ქუჩა № 8, ბინა 2.

(4—583—4)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ასვლიდიანისა

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

საორგანიზაციო ბიურო

III. შაბათს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე

ქართულ ბანკის შენობაში

(ლორისმელიქოვის ქ. შესავალი სამების ქუჩიდან)

მოხდება მე-III და მე-IV უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა (განურჩევლად სქესისა) კრება საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

(3—650—3)

რევოლიუციონური მართვა-გამგეობა

რუსეთის რევოლიუციონურ მართვა-გამგეობის სათავეში ბურჟუაზიული სამინისტრო დგას. გუჩკოვი, მილიუკოვი, კონოვალოვი და ტერეშჩენკო ბურჟუაზიული წრეებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან. ნამდვილადაც რომ ეს ასე იყოს, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ რუსეთის რევოლიუციის პირველი ნგრევისა და რღვევის ხანა უკვე დასრულდა და იწყება ახალი სახელმწიფოს მშვიდობიანი აღმშენებლობა.

მაგრამ არსებითად ეს ასე არ არის. გუჩკოვი და მილიუკოვი რუსეთის უმაღლეს მთავრობას არ წარმოადგენენ. არის კიდევ მეორე მთავრობა ამ ჟამად უფრო ძლიერი და უფრო გაბედული. ეს არის პეტროგრადის მუშათა და სალდათების საბჭოები. რევოლიუციონური მთავრობის ეს ორგანოები არ შლიან ბურჟუაზიულ სამინისტროს, თუმცა ეს მათ სავსებით შეუძლიანთ. არც შეჰყავთ ამ სამინისტროში თავის წარმომადგენლები, თუმცა მათ ამას კიდეც სთხოვენ. მუშათა და სალდათების საბჭოები თავის დამოკიდებულებას ახალს მთავრობასთან ასე გამოხატავენ: ჩვენ მხარს ვუჭერთ ახალს მთავრობას, სანამ ის რევოლიუციონურ საქმეს აკეთებს. მაშასადამე, ჩვენ ვემხრობით ახალს მთავრობას, ხოლო კანტროლს უწევთ მის მოქმედებასო. რასაკვირველია, ასეთი დამოკიდებულება ახალს მთავრობასა და რევოლიუციონურ საბჭოთა შორის, მეტად ზღუდავს ახალი მთავრობის თავისუფლებას. ფაქტიურად ის სავსებით დამოკიდებულია მუშათა და სალდათთა საბჭოებზე. და, მართლაც, საკმარისი იყო, რომ მილიუკოვს გამოეთქვა ახალი მთავრობის შეხედულობა ომსა და ომის მიზნების შესახებ, რომ მუშათა და სალდათთა საბჭოებს დაუყოვნებლივ უარეყოთ ის. მილიუკოვს იმპერიალისტური მიზნები აქვს. ჩვენ გვინდა ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთო,—განაცხადეს მათ.

ახალი მთავრობის ასეთი უძლურება ლიბერალურ რუსეთს მეტად აღონებს. ლიბერალური პრესა დღენებით მოითხოვს—ან აღვიაროთ ახალი მთავრობა უმაღლეს რევოლიუციონურ ორგანოდ და ყველა მას დავემორჩილოთ, ან და მუშათა და სალდატთა საბჭოებმა თვით შექმნან ასეთი ორგანო, ე. ი. თვით შეადგინონ სამინისტრო და ის ყველამ მივიჩნიოთ რევოლიუციონურ მთავრობათაო. შეუძლებელია, ამბობენ ისინი, რომ მთავრობის სახელს ატარებდეს ახალი სამინისტრო, პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდეს, ხოლო ის კიდევ სხვა გარეშე ძალაზე იყოს დამოკიდებული. დაემორჩილონ მუშათა და სალდატთა საბჭოები ახალს მთავრობას, ან და თვით მათ აიღონ ხელში მართვა-გამგეობა და ერის წინაშე პასუხისმგებლობაც მათ იკისრონო.

ასეთი მდგომარეობის ერთად ერთ მიზეზათ ბევრს ის მიაჩნია, რომ პროლეტარიატმა რაკი ჩაიგდო ხელში პოლიტიკური ძალა, თავის დიქტატურას ანხორციელებს და სხვა კლასებს ანგარიშს არ უწევსო. რასაკვირველია, ძალა რომ ვინმეს ჩაუვარდება ხელში, ადვილად არ შეელევა, მაგრამ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა კიდევ სხვა გარემოებას აქვს. რუსეთის ბურჟუაზიულ წრეებსა და მუშათა კლასს ომის შესახებ თავიდანვე ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონდათ. მილიუკოვი არ ეშვება სრუტეებს და მოწინააღმდეგის სავსებით განადგურებაზე ოცნებობს. პროლეტარიატს კი სწყურიან ზავი და ამ საკითხში მას ემხრობა დემოკრატიის სხვა წრეებიც. ახალი მთავრობის ლოზუნგი იყო—ომი სრულს გამარჯვებამდი. პროლეტარიატი კი თხოულობს ზავს დაჩქარებით და უანექსიოთ, უკონტრიბუციოთ. როგორც ერთს ისე მეორე შეხედულებას მრავალი მომხრეები მოეძებნება რუსეთის დემოკრატიულ წრეებში. არმიის შეხედულებაც იყოფა ამ საკითხში. და სწორეთ ეს ომის და ზავის საკითხი უნდა გადასწყდეს დაჩქარებით და მით გადასწყდება ერთი მთავრობის შექმნის საკითხიც.

დაჩქარებას კი მოითხოვს ამ დავის გადაჭრა. ორი რევოლიუციონური მთავრობის ცალკცალკე მოქმედება რევოლიუციონურ ძალთა გათიშვას და დაქსაქსვას იწვევს. ამ გარემოებით შეუძლიან ისარგებლოს კონტრ-რევოლიუციონურ ტენდენციებმა, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნით. თუმცა ძველი რეჟიმის მომხრენი თითქო მიწაში ჩაძვრენ, ისე სულ-განაბული ელოდებიან წყლის არევას, მაგრამ სამაგიეროდ მარცხნივ იბადება უფრო გაბედული ძალა, რომელიც არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს რევოლიუციისთვის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ფრაქცია—ბოლშევიკური თან და თან ანარქისტულ სახეს ღებულობს. ამ ფრაქციის ლიდერი—ლენინი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა რუსეთში საზღვარ-გარეთიდან, მთელს „დამპალ საფუძველზე“ აგებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აუმხედრდა. ის მოითხოვს ამ პარტიის დაშლას და ახალი, კომინისტური პარტიის დაარსებას. ის მოუწოდებს მუშებს ჩამოაგდონ ახალი მთავრობა, რომელიც იმის აზრით უფრო საშიშია პროლეტარიატისთვის, ვიდრე ძველი თვითმპყრობელი ბიუროკრატია. ეს ახალი კომუნისტები აქედანვე სოციალიზმის განხორციელების დაწყებას ქადაგებენ. ცხადია, რომ ასეთ აზრების ქადაგება განსაკუთრებით ამ მომენტში დიდი სახიფათოა. მას შეუძლიან დიდი არევ-დარევა გამოიწვიოს და რევოლიუციის ძალები დაშალოს, დაქსაქსოს. სოციალ-დემოკრატიის მეორე ფრაქციას და ყველა სხვა დემოკრატიულ ძალებს დიდი სიფრთხილე მართებს. რუსეთის თავისუფლებას დარაჯობა სჭირია, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ.

ე. მალი.

ფინეთის პარლამენტიდან

I

ფინეთის სამინისტროს შემადგენლობისა და მის მიმართულების შესახებ ჩვენს მკითხველთ უკვე მოვახსენე. აწ მსურს პარლამენტის შესახებ მოვიწერო. პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ორგანო, ბევრის მხრივ არის საყურადღებო, მით უმეტეს დღეს, როდესაც რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დამყარდეს და აღდგენილია ფინეთის ძირითადი კანონები. ახლანდელ პარლამენტმა უნდა შეჰქმნას სრულიად ახალი წესწყობილება ფინეთში.

ქართველთათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ვიცოდეთ ფინეთის ცხოვრება, მით უმეტეს დღეს, როდესაც მთელის ფინეთის ცხოვრება სოციალ-დემოკრატების პარტიის ნებისყოფას დაემორჩილა. როგორც ვწერებოდი, სამინისტრო და პარლამენტი სოციალისტების ხელშია. დღეის შემდეგ საქმე გვექნება არა ჩვეულებრივ კულტუროსან და დემოკრატიულ ფინეთთან, არამედ **რადიკალურ სოციალურ რეფორმათა განმახორციელებელ სახელმწიფოსთან.** როგორც თავის დროზე ვიწერებოდი, ფინეთის პარლამენტში 103 სოც.-დემოკრატია და დანარჩენ 97 შეადგენენ: ახალგაზდა ფინები, ძველი ფინები, შვედური პარტია, აგრარიების პარტია და ქრისტიანი სოციალისტები. პარლამენტში 24 ქალია, რომელთაგან 17 სოც.-დემოკრატებს ეკუთვნის.

ამ განმარტებასთან ერთად, საჭიროდ მიმაჩნია [illegible] ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: დღეს, როდესაც ფინეთმა თავისუფლად ამოისუნთქა და თავის თავი მასვე ეკუთვნის—ფინთა ერის პარტიულ დანაწილებაშიც ცვლილება შეაქვს. ის პარტიული დაყოფა, რომელიც დღევანდლამდე იყო, ზოგიერთ შემთხვევაში, დღეს უკვე უსაფუძვლო და ვადა გასულია. დღეის შემდეგ ფინეთის პარლამენტის ფრაქციებში ამნაირ დანაწილებას, რომელიც ზემოდ მოგახსენეთ, ადგილი აღარ ექნება. დღეიდან ახალი პარტიები შეიქმნება. ახალი გარემოება ახალ დარაზმვას მოითხოვს. მაგალითად: ძველ-ფინთა და ახალ-ფინთა პარტიები დღეიდან გაერთიანებულად უნდა ჩაითვალონ. მათი გაყოფის მიზეზი იყო 1904 წლის გენერალ-გუბერნატორ **ბობრიკოვის** შავრაზმული მოღვაწეობა ფინეთში. მისმა ვერაგმა პოლიტიკამ **ფინომანთა პარტია** ორად გაჰყო. ერთნი დათმობითი, ე. ი. კომპრომისულ ტაქტიკას სთვლიდენ საუკეთესო საშუალებად რუსეთის გამარუსებელ პოლიტიკის წინააღმდეგ. ფინომანთა ასეთ ჯგუფს, შემდეგ **ძველ-ფინთა პარტია** ეწოდა. მეორენი, რომელნიც სასტიკ ბრძოლას მოითხოვდენ იმავე მიზნის მისაღწევად, ეწოდა **ახალ-გაზრდა ფინთა პარტია.** მართალია, შემდეგში ამ პარტიებში განსხვავება სხვა და სხვა სოციალურ საკითხებშიც აღმოჩნდა, მაგრამ ეს არ იყო უმთავრესი მიზეზი მათის დანაწილებისა. მიზეზი მათის დანაწილებისა იყო **საგარეო,** ესე იგი დამოკიდებულება ფინეთსა და რუსეთს შორის. დღეს ეს საგარეო საკითხი თითქმის აღარ არსებობს. დღევანდელი მდგომარეობა მათ ისევ აერთებს 12 წლის გაყრის შემდეგ: მსგავსი ცვლილება მოსალოდნელია სხვა პარტიებშიც. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატების პარტიას, ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ მათ მოელისთ ორად გაყოფა. მიზეზი შემდეგია: სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, როგორც თითქმის ყოველგან, იყვნენ და არიან ზომიერნი და უკიდურესნი. პირველთ ნაციონალური მიდრეკილება ახასიათებსთ, ხოლო მეორეთ—კოსმოპოლიტიკობა. ასეთი შინაგანი დაყოფა დიდი ხანია არსებობს მათს შორის, მაგრამ დღეს ეს დაყოფის პროცესი უფრო სისწრაფით ხდება, რაც, უნდა ვიფიქროთ, სრულ გათიშვით დამთავრდება. ცხოვრების წინმსვლელობა მოითხოვს ამას. სოც.-დემოკრატთა ეგრედ წოდებული პროგრამა მინიმუმი თითქმის განხორციელებულია. მათ კარი გაეხსნათ **სოციალურ რეფორმის განსახორციელებლად.** აი, აქ კი ერთი აზრი არ აღმოაჩნდა პარტიას. ერთ ნაწილს ეშინია, შეიძლება სამართლიანად, მაგრამ ფაქტია, რომ ეშინია ჩაჭრისა.. დგება ხანა გამოცდისა, სოციალ-დემოკრატებს დიდი ეგზამენი აქვთ დანიშნული. დღეიდან მათ **ნათქვამიდან ერი საქმეს** მოელის და ეს ხომ პატარა საქმე არ არის?.. ამიტომაც, ერთი ნაწილი ფინეთის სოციალ-დემოკრატებისა გაზეთ „Työmies“ (ტუომიეს) რედაქტორ **ეეტუვალპას**-ის მეთაურობით შეეცადა გაჰქცეოდა ეგზამენს. მათ, როგორც უკიდურესთ, არ მოიისურვეს ქვეყნის მართვა-გამგეობის ჩაბარება. წინააღუდგნენ ზომიერ პარტიულ მეგობრებს, რომელთაც ხელმძღვანელობს იგივე გამოჩენილი ყოფილი ტალმანი პარლამენტისა, დღევანდელი პრემ ერმინისტრი **ბ. ტოკოი.** როგორც ეტყობა, ზომიერ სოციალ-დემოკრატთა რიცხვი და გავლენა გაცილებით დიდია, ვიდრე უკიდურეს მათ ამხანაგთა. დღეს ზომიერთა ბატონობაა, მათ ხელშია პარლამენტი და სამინისტრო. თვით პრეზიდენტი დღევანდელ პარლამენტისა **ბ. მანნერი,** ამ რამდენსამე ხნის წინად **ვალპასის** უკიდურეს ჯგუფს ეკუთვნოდა, მაგრამ დღეს იგი მის მოწინააღმდეგე ფრაქციას მიეკედლა და პარლამენტის მეთაურობა მიიღო. ეს გარემოება კი სრულ გარანტიას იძლევა იმისას, რომ აღმასრულებელ ორგანოსა და საკანონმდებლო დაწესებულებას შორის სრული თანხმობა იქნება. ბ. **ეეტუ-ვალპასის ჯგუფი** განმარტოვებულად არის და მართო კრიტიკით და შენიშვნებით კმაყოფილდება. ზომიერ სოციალ-დემოკრატებმა, უნდა სიმართლე ითქვას, მეტად ხელსაყრელ პირობებში მიიღეს თავის თავზე პასუხისმგებლობა. თუ სოციალისტურს ვერას შესძლებენ, ყოველ შემთხვევაში, ქვეყანას წმინდა დემოკრატიულად აქცევენ. პირველი პერიოდი მათის სახელმწიფო მოღვაწეობისა მეტად ნაყოფიერი იქნება, რადგან ფინეთი მომწიფებული ქვეყანაა და მრავალი დემოკრატიული კანონპროექტები სეიმისა ძველ წესწყობილების დროს განუხორციელებელი დარჩა. ფინეთის ცხოვრების წინმსვლელობის შეჩერება, რასაკვირველია, ფინეთის არასოციალისტურ პარტიებს ვერ დაჰბრალდება, რადგან კანონპროექტები მიღებულ იქნა ფინეთის საკანონმდებლო დაწესებულება სეიმში. მიზეზი ამისა რუსეთის წესწყობილება იყო, რომლის იმპერატორიც ფინეთის ცხოვრებასაც ჰბოჭავდა და განვითარების გზას უკრავდა იმ პერიოდში, როდესაც ფინეთის ცხოვრებას ხელს უშლიდა გარეგანი მიზეზი რუსეთის იმპერატორისა და ფინეთის დიდი მთავარის სახით, ფინეთის პოლიტიკურ პარტიებში, განურჩევლად მათ მსოფლ-მხედველობისა და სოციალურ ინტერესებისა, დიდი თანხმობა იყო. ყველა პარტია ფინეთისა ცდილობდა ფინეთი რუსეთისაგან განეთავისუფლებინა, რისთვისაც მსხვერპლად მიჰქონდა საკუთარი ინტერესები. ამ მიზნისთვის ჰქმნიდნენ: ფინეთის დემოკრატიულ წესწყობილებას, განსხვავებულ კულტურას, ტრადიციას, ზნეს და სხვას. ყოველივე ეს საჭირო იყო, რათა ფინეთსა და რუსეთს შორის არ შეჰქმნილიყო ორგანიული კავშირი. ასეთმა მიდრეკილებამ ფინეთი აამაღლა ყოველის მხრივ. დღევანდელი ფინეთი უფრო გერმანულ კულტურისა და, საზოგადოდ, ჩრდილოეთის სახელმწიფოთა მოკავშირეა, ვიდრე თუნდ დღევანდელ დემოკრატიულ რუსეთისა. თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, ცხადი იქნება, თუ რამდენად ხელსაყრელ პირობებში ჩაიბარეს სახელმწიფოს მმართვა-გამგეობა ფინეთის სოციალდემოკრატებმა.. ასეთ შესავლის შემდეგ, ჩვენს მკითხველთ გავაცნობ ფინეთის პარლამენტის ყოველდღიურ ცხოვრებას.

დათიკო ჩიქოვანი.

14 აპრილი. ჰელსინგფორსი.

დიდად შეწუხებულნი და ცეცხლმოდებულნი ბებია მარიამ ზაქარიას ასული მენთეშაშვილისა, ბიძები ივანე, გიგა და რაჟდენ ისაკის ძენი მეუღლეებითა და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 15 აპრილს, დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი № 40 ლაზარეთში ავადმყოფთა თავგანწირულ მოვლაში უდროოდ გარდაცვალებულ მოწყალების დის

თამარ ეგნატეს ასულის

მენთეშაშვილის

597 სულის მოსახსენებლად. 1—1

დეიდა ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ჩიჯავაძისა, დეიდაშვილები თამარ, ანეტა და ელენე ჩიჯავაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ

კოლა ყანჩელის

გარდაცვალებას.

წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში შაბათს, 15 აპრილს. დაკრძალვა ამავე დღეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(1—596—)

სოფიო ნიკოლოზის ასული და გიორგი დარისპანის ძე ამირეჯიბები და შვილები მათი, ინასტასია ქიქოძისა, შალვა, ცაცა და ირაკლი აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა საყვარელი დისწული და დანარჩენების დეიდაშვილი ნაფიცი ვექილი

ნიკოლოზ ყარამანის ძე ყანჩელი

სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღეს, შაბათს, 15 აპრილს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(1—596—1)

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო- სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

№ 16 შინაარსი:

1, გ. კუჩიშვილი—მზის მელოდიაში; 2, ივ. გომართელი—ისევ ავტონომიის შესახებ; 3, შიო მღვიმელი—***; „გუშინ დაბნა გაზაფხულმა“, 4, ქ. გარიყული—ტუსაღის ნაამბობი; 5, ი. რ—ლი—უკრაინა; 6, ვალ. გუნიას შესახებ მოგონებები; 7, ილია ჭყონია—გლეხის დარდი; 8, ხასან მელიაძე—ქალის შემკობა; 9, შალვა დადიანი—გუშინდელნი, კომ. 3 მოქ., 10, ილო—უი, ქაა! 11, გ. ჯაბაური—სახალხო თეატრის ისტორია; 12, წვრილი ამბები, სურათები.

თითო ნომერი—15 კ., წლიურად—8 მ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძ. № 1), ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. აქვე მიიღება ხელის მოწერა საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ“ გაზ. „ხალხის თავისუფლება“ ზე. წლის ბოლომდე—[illegible] მ.

(1—596—1) რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

მივიღეთ ფრანგულ აბრეშუმის ჭიის თესლი

ცნობილ ფირმებისა

ბერტენი

და

ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: ტ. ს. მირზაიანცს, თბილისი, განჯის ქ. № 8.

ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.

(10—576—5)

რევოლუციის დეპეშები

13 აპრილი

მთავრობის განკარგულებანი და დადგენილებანი.

პეტროგრადი. მთავრობა ჰფიქრობს ვლადივოსტოკში განსაკუთრებული მთავარმართებელი დანიშნოს. ასახელებენ დეპუტატ რუზლიკოვს.

უმაღლეს სასწავლებლის სარეფორმო კომისიამ დაადგინა პერმში გაიხსნას უნივერსიტეტი და სასურველად სცნო აშენებულ იქნეს სტუდენტთა სახლები.

დროებითი მთავრობა ნოტას ამზადებს. ნოტას მეზობელ სახელმწიფოებს გაუგზავნის და შიგ მთავრობის აზრი დაწვრილებით იქნება გამოთქმული ომისა და მისი მიზნების შესახებ.

რუსეთის სამღვდელოების სურვილი

პეტროგრადი. მღვდელ-დეპუტატების მეთაურობით დაარსდა დემოკრატიულ მართლმადიდებელ მღვდლების და ერის კაცების კავშირი. ძირითადი მიზანი კავშირისა მღვდელთ-მსახურთა და მრევლის სრული დაკავშირებაა, ცხოვრების ყოველ საკითხში. ლოზუნგი ასეთია: ეკლესიის გადემოკრატება, ე. ი. საეკლესიო ცხოვრებაში სრული მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც მღვდელთმსახურებმა, აგრეთვე ერის კაცმაც განურჩევლად სქესისა, ძველებურ ეკლესიის მიხედვით. საეკლესიოს შინაურ ცხოვრებაში სრული ავტონომია უნდა იყოს აღიარებული.

დახმარება პოლიტიკურთათვის

პეტროგრადი. მარტის 24-დან აპრილის 11-მდის მინისტრ კერენსკის მეუღლემ განთავისუფლებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა სასარგებლოდ 62,279 მან. მიიღო, სულ კი, წინანდელთან ერთად 2,757,709 მან.

ქალთა უფლებები.

პეტროგრადი. ნაფიც ვექილებად ჩაეწერა ოთხი ქალი: კასსოვსკაია, ფლედბერგი, ნეჩაევი და ბოიმი. თხოვნა აქვს შეტანილი 30 ქალს.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ დროულად სცნო, რომ შესაძლებელია ტეხნიკური და ტეხნიკურ-ადმინისტრატიული თანამდებობანი შესაფერ განათლებიან ქალებს ჩაჰბარდეთ.

„თავისუფლების სესხი“

მოსკოვი. მოსკოვის ბანკებში „თავისუფლების სესხზე“ ორმოცდა-ათი მილიონ მანეთს ხელი მოაწერეს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სესხზე 5 მილიონი მოაწერეს.

ფრონტის კრება

მინსკი. სასურსათო სექციამ საჭიროდ სცნო მტრის მოსაგერიებლად შრომის გადიდება. მიწის საკითხის შესახებ დაადგინა, რომ ამ საქმეში ჯარმა და გლეხობამ ერთად უნდა იმუშაოს, ლაშქრის რეორგანიზაციის საკითხის განხილვის დროს სთქვეს, უფროსები არჩეულნი იყვნენო, მაგრამ ამას ცოტა მომხრე აღმოუჩნდა. დაადგინეს, უფროსები დანიშნონ ხოლმე ლაშქართა კომიტეტებმა.

ეროვნული საკითხი

13 აპრილი.

პეტროგრადი. პოლონეთის საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია აპრილის 15-ს, კომისიის ბინაზე საზამთრო სასახლეში.

რესპუბლიკანელები-ფედერალისტები

პეტროგრადი. რესპუბლიკანელ-დემოკრატთა ცენტრალ კომიტეტმა საორგანიზაციო სხდომაზე დაადგინა, პარტიას სახელი შეეცვალოს და „რესპუბლიკანელ-ფედერალისტების“ პარტია დაერქვას. გადაწყვეტილია ახლო მომავალში მოიწვიონ განაპირა ქვეყნებს და რუსეთში მოსახლე ეროვნებათა წარმომადგენელნი, რათა მომავალ ფედერატიულ წყობილების ხასიათი შეიმუშავონ.

ციმბირი.

რუსეთში აღარ დარჩა ცოტაოდნად მაინც კულტუროსანი ერი, რომელსაც თავისთვის ავტონომია არ მოეთხოვოს. პოლონეთმა ხომ არამც თუ ავტონომია, სრული განთავისუფლება მიიღო, სრული ავტონომია მიიღო ფინეთმა, ავტონომია მოითხოვეს ლიტველებმა, ესტონელებმა, მუსულმანებმა, სომხებმა, ბელორუსებმა, უკრაინელებმა და... ციმბირშიაც კი დაიწყეს ციმბირის ავტონომიაზე ლაპარაკი. ციმბირის ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს; ჯერ ისევ დეკაბრისტები აპირებდნენ ციმბირის შეერთებულ შტატების დაარსებას. ეხლა ციმბირის თავისუფლების იდეამ ისევ იჩინა თავი. ციმბირელ ავტონომისტებს შეუმუშავებიათ კონკრეტიული კონსტიტუცია ციმბირის ავტონომიისა და გაზეთ „თავისუფალ ციმბირში“ მოუთავსებიათ. „ციმბირი—ამბობენ იქაური ფედერალისტები,—რუსეთის სახელმწიფოში განკერძოებული მხარეა. ამ განკერძოების შეგნება განუყოფელია ციმბირის მოსახლეობისათვის, რომელიც ციმბირს შეეჩვა და რომელიც ისტორიულ წარსულით შეკავშირებულია. ეთნოგრაფიულად რუსული ელემენტი ციმბირში შერეია ფინურ და თურქ-მონგოლურ ჩამომავლობის ხალხებს და განსაკუთრებული კულტურიანი ტიპი შეჰქმნა. ციმბირის ცხოვრების ხასიათი და წესი სავსებით განსხვავდება რუსეთის ცხოვრების ხასიათსა და წყობილებაში. ეკონომიურის მხრით ციმბირი თავის ინტერესებით ძლიერ ეწინააღმდეგება რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს. რუსეთი ექსპლოატატორი იყო ციმბირის სიმდიდრისაც და ტერიტორიისაც (გადასახლებანი), ამიტომაა—ამბობენ ციმბირის ავტონომისტები—ციმბირის მხოლოდ პოლიტიკურ ფართე ავტონომიას შეუძლიან ჩვენი ქვეყანა პროგრესის გზაზე დააყენოსო..

ამ ავტონომიურ მმართველობის სათავეში უნდა იდგეს ციმბირის სათათბირო. მისი უფლებანი შემდეგი უნდა იყოს: 1) უფლება ციმბირის კანონმდებლობისა, 2) აღმასრულებელ ძალის ამორჩევა, რომელიც ციმბირის სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი უნდა იყოს; 3) ციმბირის მიწებით, ტყეებით, წყლებით და მადნეულობით სარგებლობის უფლება; 4) წარმოების და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები; 5) კოლონიზაციის რაოდენობის და საშუალებების განმარტება; 6) სახალხო განათლების სრული გამგებლობა; 7) საიმპერიო ტარიფების დადგენაში მონაწილეობის უფლება; 8) საერობო თვითმართველობა; 9) ეროვნებათა ყოფა-ცხოვრების მოწყობა; 10) ადგილობრივი საბიუჯეტო სამართალი.

დაწვრილებით განმარტება ადგილობრივ სათათბიროს კომპეტენციისა, და მისი დამოკიდებულება ცენტრალ მთავრობასთან (სრულიად რუსეთის მომავალი პასუხისმგებელი მთავრობასთან) და აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების საკითხი განხილულ იქნება ციმბირის დამფუძნებელ კრების მიერ.

ციმბირის მმართველობამ რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებას და დიდებას მხარი უნდა მისცეს და სრულიად რუსეთის დამოუკიდებლობის საქმე სრულიად რუსეთის მთავრობას უნდა ჩაჰბარდეს. ომი, ზავი, სავაჭრო კავშირები, პირობები, ფოსტა, ტელეგრაფი, ფულის მოჭრა, საბაჟოები და აქციზი რუსეთის ცენტრალ მთავრობის ხელში იქნება.

თვითმმართველი ოლქები სახელმწიფოსთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული.

ასეთია ციმბირის ავტონომისტთა აზრი და სურვილი.

მუსულმანები.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ყაზანელ მუსულმანმა სალდათებმა და აფიცრებმა მუსულმან მეომართა სამხედრო კომიტეტი შეადგინეს. ამ კომიტეტმა რამდენსამე დღეში შეაკავშირა სრულიად მუსულმანი აფიცრობა და სალდათები. კომიტეტის უმთავრესი აზრი ის არის, რომ მოსპოს ის მრავალი და მუსულმანთათვის მნიშვნელოვანი შემზღუდველი პირობანი, რაც კანონმდებლობით კი არ არის შექმნილი, არამედ ცხოვრების მიერ. კომიტეტმა ეს პირობები განიხილა და აღმოჩნდა შემდეგი: მუსულმან მეომართათვის შეუძლებელია მეჩეთში სიარული, საკუთარ უქმეების უქმობა, წირვა-ლოცვა, იძულებულნი არიან სჭამონ ისეთი საჭმელები, რასაც მათი რჯული უკრძალავთ. ყველა ამის მოსპობა რუსეთის ჯარში ძნელია და ამიტომ კომიტეტმა საჭიროდ სცნო ცალკე მუსულმანურ პოლკების შედგენა.

სომეხთა შორის.

სამშაბათს, 11 აპრილს, შესდგა დამფუძნებელი კრება სომეხთა დემოკრატიულ პარტიის წევრთა, სახელ. სათათბიროს ყოფილ წევრის მ. ტერ-პეტროსიანის თავმჯდომარეობით.

კრებამ იქონია რა მსჯელობა კავკასიელ სომეხთა მომავალ ბედის შესახებ, შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: კავკასიაში სომეხთა მიერ დასახლებულ ადგილებში, თანახმად ნაციონალ შეჯგუფებისა, უნდა შეიცვალოს საზღვრები. სასურველია სომხებმა მიიღონ ტერიტორიალ-ნაციონალური თვითმართველობა ადგილობრივ საკითხების გადამწყვეტ საკანონმდებლო დაწესებულებით. შემდეგ სხდომამ გადასწყვიტა პარტიის პროგრამაში შემუშავდეს საადგილმამულო საკითხი, ბოლო საეკლესიო საკითხი უყურადღებოდ იქნეს დატოვებული, რადგანაც სომეხთა დამოუკიდებელ ეკლესიას არავითარი საფრთხე არ მოელის.

ფინეთი.

ჰელსინგფორსი. მთავრობის დადგენილებამ ფინეთის სეიმის უფლებათა გაფართოების შესახებ ფინეთის საზოგადოებრივი წრეები შეაშფოთა. ეტყობა, დროებითი მთავრობის უარი ფინეთურ სენატის პროექტის დამტკიცებაზე ფინელთათვის მოულოდნელი იყო. აქ ამბობდნენ, რომ ფინეთის სეიმის უფლებათა გაფართოვების პროექტი მხოლოდ ფინეთის შინაურ საქმეებს ეხება და არა რუსეთ-ფინეთის დამოკიდებულებასაო. პროექტი თხოულობს, ის საქმეები, რომელსაც წინედ მეფე სწყვეტდა, ეხლა ფინეთის სეიმმა გადასწყვიტოსო. ეს საქმეები ეხლა ავტომატიურად რუსეთის ახალ მთავრობას გადაეცა. პეტროგრადის გაზეთების აზრი ამ საკითხის შესახებ ხელ-აღებით უარსა ჰყოფს ფინელთა თვალსაზრისს. აქ იმედს გამოსთქვამენ, რომ მხოლოდ საჯარო განხილვა ამ საკითხისა მოარიგებს უთანხმოებათაო.

ომის დეპეშები

მთავარ ბანაკის ცნობა.

14 აპრილი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა. დაბა ბერესტეჩკოს ჩრდილო-დასავლეთის მიდამოებში ნალმი ავაფეთქეთ; აფეთქებამ იმსხვერპლა საველე მოდარაჯე და მოპირდაპირის სანალმო გვირაბი.

რუმინეთის ასპარეზი. სროლა და ზვერვაა. ტიკუჩიუ - გალაც-ტუდისვლადიმირესკუს ხაზის რკინის გზის ლიანდაგზე მოპირდაპირემ ჩვენს მატარებელს მძიმე ზარბაზნები დაუშინა. 12 აპრილს მდ. დუნაიზე, შავიზღვის მხრიდან რენს მიუახლოვდა მოპირდაპირის წყალქვეშა, რომელიც მერე ისევ შავზღვაში გაბრუნდა.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

საფრანგეთი.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. ენის მიდამოებში ცოტა წინ წავიწიეთ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. პიურტეკიოზის მიდამოებში და ვოკლერკის მთაზე გერმანელებმა, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, დილით იერიში მოიტანეს,

გლეხთა საკითხი

(შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე).

სოციალისტები ფიქრობენ, კერძო საკუთრება მიწაზე უნდა მოისპოსო.

სოციალდემოკრატების აზრით მთელი მიწა უნდა გადავიდეს ხალხის, ე. ი. ერობის ან რესპუბლიკის ხელში („მუნიციპალიზაცია“ და „ნაციონალიზაცია“). შემდეგ კი საერობო თვითმართველობამ (ან რესპუბლიკის მთავრობამ) უნდა დაურიგოს მამულები მიწის მუშებს **იჯარით**.

მაგრამ რა მოხდება მაშინ? ვთქვათ, მიწისმუშამ აიღო იჯარით მამული. წარმოვიდგინოთ, რომ ის თავის შვილებს ზრდის ხელოსნებად, ექიმებად, მეცნიერებად. გააკეთებს თუ არა თავის მიწაზე ბაღებსა და ვენახებს? გაასუქებს თუ არა სასუქით? შემორაგავს თუ არა? დააშრობს თუ არა ჭაობებს? გაიყვანს თუ არა სარწყავ არხებს?—არა, რადგან ეცოდინება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი მამული სხვის ხელში გადავა. ერობა (ანუ რესპუბლიკა) მიწებს არ დასტოვებს მისი შვილების ხელში, რომელნიც მიწათმოქმედნი არ იქნებიან, და არც უკანასკნელნი დაიდებენ თავზე ისეთს ტვირთს, რომელსაც ვერ მოერევიან.

შეიძლება გვითხრან: როდესაც მამულები ჩამოერთმევა მოიჯარადრის მემკვიდრეებს, მათ სავსებით დაუბრუნდებათ იმის ფასი, რაც მათს მშობელს გაუკეთებია, და, მაშასადამე, მოიჯარადრე არ მოერიდება სამიწისმოქმედო გაუმჯობესებას იმ იმედით, რომ მისი შრომის ნაყოფს მისი შვილები მოიმკიანო.

მაგრამ, ვთქვათ, ერობამ ჩამოართვა მამული მოიჯარადრის მემკვიდრეს და უზღო მას იმის ფასი, რაც მამამისს გაუშენებია და გაუკეთებია. საიდან, რა წყაროდან უნდა იშოვოს ერობამ გამოსასყიდი ფული? ერთად-ერთი წყარო ის იქნება, თუ ახალმა მოიჯარადრემ დიდი იჯარა გადიხადა. შესძლებს კი ის დიდი იჯარის ძლევას? გამოჰკრეფს კი ახლად შეძენილი მამულისაგან იმდენ ნაყოფს, რამდენსაც ჰკრეფდა ძველი მოიჯარადრე? ეს საეჭვოა, რადგან ახალი მწარმოებელი თავის დღეში ვერ მოიმარჯვებს და ვერ მოიხმარს ისე მისთვის შეუჩვეველ სამიწისმოქმედო პირობათ, როგორც ეს ძველ მწარმოებელს შეეძლო. და, თუ კი ახალმა მოიჯარადრემ ვეღარ გადიხადა მომატებული იჯარა და იმავე დროს ამგვარ მოიჯარადრეთა რიცხვმა ძლიერ მოიმატა, ერობას აღარ ექნება საშუალება გამოისყიდოს იჯარით გაცემული მამულები.

ეს კიდევ არაფერი. წარმოვიდგინოთ, რომ მოიჯარადრემ ვერ გადიხადა იჯარა თავის დროზე. უეჭველია, ამგვარი მოვლენა ხშირი იქნება. რასა იქმს მაშინ ერობა? ჩამოართმევს მას მამულს? და, თუ ჩამოართმევს,—გაუმჯობესების ფასიც რომ უზღოს,—ხომ სილატაკეში ჩაგდებს მიწის მუშა, რომელსაც იჯარით აღებული მამულის მეტი არა გააჩნია-რა?

მაგრამ მოუწესრიგებლობას აქაც არ მოეღება ბოლო. ვთქვათ, ზოგიერთი მოიჯარადრე, მისი შვილი და შვილის-შვილები წესიერად იხდიან იჯარას. მეორე მხრით, ჩამორთმეული მამულები, როგორცა ვთქვით, უფრო-დაუფრო დიდი იჯარით უნდა გასცენ. ამგვარად გამეფდება საშინლად უსამართლო, უწესო დაბეგვრა: ერთს მამულს რომ დიდი იჯარა დააწვება, მეორე მამულს, რომელიც არ ჩამოუვარდება შემოსავლიანობით პირველს, ბევრად უფრო მცირე იჯარა ექნება დადებული; იქნებიან, მაშასადამე, უპირატესობა მოსილნი და უპირატესობა მოკლებულნი მოიჯარადრენი, არსებისათვის ბრძოლის პირობები უთანასწორო იქნებიან და მომავალ დემოკრატიულ-სოციალურ რესპუბლიკაში აუარებელი უმამულო, ბოგანა პროლეტარი გაჩნდება.

დასასრულ, საუკუნო იჯარა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება მოიჯარადრესა და მის შვილთა და ჩამომავალთა, ხელს შეუშლის მამულების გაუმჯობესებას: მიწის მომქმედთ აღარ ექნებათ გაკეთებისა და გაუმჯობესების ხალისი, რადგან, ჯერ ერთი, მთელს მათს შემოსავალს იჯარა შთანთქამს, და, მეორე, მიწას აღარ ჩასთვლის ის თავის ხელშეუხებელ საკუთრებად, არამედ ჩასთვლის მხოლოდ დროებით მითვისებულ ქონებად, რომელიც ადრე თუ გვიან სხვის ხელში გადავა. ერთი სიტყვით, მას წაერთმევა კერძო საკუთრების მიერ შობილი გულისთქმა, რომელიც აქეზებს მწარმოებელს აშენებლობისა და გაუმჯობესებისათვის.

განვიხილოთ ახლა სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სოციალისტ ფედერალისტების აზრი. მათი ფიქრით მიწები უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ მემამულეებსა და გადავიდეს რესპუბლიკის ანუ საზოგადოების ხელში. შემდეგ საზოგადოებამ (ანუ რესპუბლიკამ) უნდა მიუზომოს თვითეულს მიწისმოქმედს იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებაც მას საკუთარი ხელით შეუძლია („სოციალიზაცია“). ვთქვათ, მიწის მომქმედს ხუთი მუშა კაცი ჰყავს და, მაშასადამე, შეუძლია დაიმუშაოს საკმაოდ დიდი მიწა, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მისი შვილები გარეთ გავიდნენ: ზოგმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგი ქარხანაში შევიდა, ზოგმა კიდევ სხვა ხელობა აირჩია. მაშინ კი მას, უეჭველია, დაეკარგება ხალისი მამულის გაკეთებისა და გაუმჯობესებისა, რადგან ეცოდინება, რომ მის შრომას მისი შვილები ვერ მიინაყოფებენ. შეიძლება გვითხრან: როდესაც ვისმე ჩამოერთმევა მამული, მაგიერად იმის საზღაური მიეცემა, რაც მას ან მის წინაპრებს გაუკეთებიათო.

მაგრამ, თუ კი მამულის ყოფილ პატრონს გაუმჯობესების ფასი მიეცემა, საზოგადოებამ ამ სასყიდლის რაოდენობა, ცხადია, ახალ მიწისმოქმედს უნდა გადაახდევინოს. მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს აღარ იქნება ისეთი მამული, რომ გადასახადი არ დააწვეს მძიმე ტვირთად, და იგივე უწესობა გამეფდება, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი.

იმავე დროს გაჩნდება კიდევ ერთი ახალი მიზეზი არეულობისა და უწესობისა. გვეუბნებიან: თვითეულ ოჯახს იმდენი მიწა უნდა მიეცეს, რამდენიც შეუძლია დაიმუშაოს საკუთარი ხელითო. მაგრამ, ზოგიერთ ოჯახს მუშა-ხელი ბევრი ჰყავს, ზროხა, იარაღი და ფული კი ცოტა მოეპოვება. როგორ უნდა მოიქცნენ მაშინ? რა ზომით უნდა მიუზომონ მას მიწა? მუშათა რაოდენობისა თუ ზროხის, იარაღის, ფულისა და სხ. რაოდენობის მიხედვით?! რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ გვეტყვიან ამის პასუხს სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები!

ეს კიდევ ცოტაა. ვსთქვათ, საზოგადოებამ ჩამოართვა მიწა სასყიდლის ზღვევით მემამულეს და გადასცა მიწისმოქმედს იმ პირობით, რომ უკანასკნელმა მისი საზღაური წვრილ-წვრილად გადიხადოს. წარმოვიდგინოთ, რომ მან ვერ აასრულა ეს პირობა. ჩამოერთმევა თუ არა მიწა? თუ ჰო, მაშინ ხომ უარყოფილი იქნება პრინციპი, თვითეულ მიწისმოქმედს იმდენი მიწა უნდა ეჭიროს, რამდენიც შეუძლია დაიმუშაოს საკუთარი ხელითო.

ერთი სიტყვით, ვერც სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები სჭრიან მიწათმფლობელობის საგანს ისე, როგორც შესაძლებელი და აუცილებელია.

დავუგდოთ ახლა ყური ეროვნულ დემოკრატებს.

თუ მემამულეს დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა არ აქვს, არაფერი არ ჩამოერთმევა.

ვსთქვათ, საზოგადოებამ დააწესა, რომ თვითეულ მემამულეს შეუძლია ჰქონდეს ასი ქცევა ავ-კარგად.

მაშინ ეს ასი ქცევა მისი ხელშეუხებელი საკუთრება იქნება.

ვერავინ ვერ ჩამოართმევს მას ამ მიწას და მამულის პატრონს სრული თავისუფლება ექნება დაიმუშაოს საკუთარი ხელით, მისცეს იჯარით, გაყიდოს და სხ. მან რომ ვაჭრობას ან ხელოსნობას მიჰყოს ხელი, ჩამოერთმევა თუ არა მამული? სრულიადაც არა. მიწის მუშებად რომ აღზარდოს შვილები, ჩამოერთმევათ თუ არა უკანასკნელთ მიწები? რასაკვირველია, არა.

ვსთქვათ, მამულის პატრონი ხედავს, რომ ურჩევნია გაჰყიდოს მამული და შეიძინოს სხვა ქონება. უნდა ჰქონდეს თუ არა ამის უფლება? რასაკვირველი, უნდა ჰქონდეს.

უნდა იქმნეს თუ არა დაბეგრილი და დატვირთული მიწა—როგორც სოციალ-დემოკრატებსა და სხვა სოციალისტებს სწადიათ—მძიმე იჯარით, ანუ რენტით? ცხადია, რომ არა, რადგან ამგვარი იჯარა გააკოტრებს მემამულეთ, ხელს შეუშლის მიწის მოქმედების გაუმჯობესებასა და გამოიწვევს, მაშასადამე, საყოველთაო დამშევას.

მაშასადამე, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აუცილებლად მიაჩნია დარჩეს ხელშეუხებლად კერძო საკუთრება მიწის გადაჭრილს, განსაზღვრულ რაოდენობაზე, რადგან კერძო საკუთრება აქეზებს შრომის ხალისსა და ათავისუფლებს მამულის პატრონს ათასგვარ შევიწროებისაგან. ერთი სიტყვით, კერძო საკუთრება—წყაროა თავისუფალი შემოქმედებისა და წარმოების გაუმჯობესებისა.

იმავე დროს ჩვენ დიდ ბოროტებადა ვსთვლით, როდესაც აუარებელი მიწა მცირეოდენი მესაკუთრეების ხელშია თავმოყრილი, რადგან, ჯერ ერთი, ძნელია დიდი მამულის მოვლა და გაუმჯობესება და პირიქით, დამტკიცებულია, რომ წვრილი მესაკუთრე უკეთ აუმჯობესებს თავის მამულსა და, მეორე, ხალხის გამრავლება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სხეულის ზრდა-განვითარებისათვის უმთავრესად მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მიწა დანაწილებულია წვრილ მიწის მუშათა შორის. დიდი მამულების თავმოყრამ მცირეოდენი მესაკუთრის ხელში (ლატიფუნდიებმა) დაღუპეს ძველი რომი და შექმნეს დღევანდელი ცხოვრების ძირითადი უკმაყოფილებანი.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა აქვს, უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს მიწის მუშებს კერძო საკუთრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სათავეშივე შევაჩერეთ. შამპანში უსახელო მთის მახლობლად წინ წავიწიეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 1 ზარბაზანი. ტაგურის და მეზონდეშამპანის მახლობლად მოპირდაპირემ რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა შემოტევა, მაგრამ ჩვენს მავთულების ხლართებთან ბევრი მოკლულის გვამი დასტოვა. ზემო ალზასში, არმერცვილერის მიდამოში, ჩვენი მზვერავთა რაზმი გერმანელების თხრილებში შეიჭრა და აქ ტყვეები წამოვიყვანეთ.

პარიზი. საფრანგეთის ასპარეზზე ინგლისელებმა 30 ვერსის ბრძოლის ხაზზე ორი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ 3 ვერსით წინ წაიწიეს. გერმანელები შელდის არხის დასავლეთ ნაპირზე გადარეკეს.

ინგლისი

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარის მთავარსარდლის ცნობა. სკარპის სამხრეთით ცოტა წინ წავიწიეთ და ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი. ლანსის სამხრეთ-დასავლეთით და იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელების რაზმები მოვიგერიეთ. ჩვენმა მფრინავებმა მარჯვედ დაუშინეს ცუმბარები მტრის საფრენთა სადგურს, საწყობებს და მატარებელი გაანადგურეს. გერმანელების 7 საფრენი ჩამოაგდეს, 8 იძულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყო; გაანადგურეს აგრეთვე მტრის 2 შარი. ჩვენ 6 საფრენი გვაკლია.

ლონდონი. ოფიც. ცნობა. მესოპოტამიაში ხელთ ვიგდეთ 687 ტყვე, მათ შორის 20 ოფიცერი, 14 კრუპის ზარბაზანი 5 დიუმიანი ყალიბისა, 2 ტყვიისმფრქვეველი, 1240 თოფი, ბევრი ხელის ყუმბარა, 200 ზარბაზნის ყუმბარა, 16 ორთქლმავალი, 240 ვაგონი და სხვა მასალა. შატელ-ადხაიმის მარცხენა ნაპირას ინგლისელები მოულოდნელად დაეცნენ ოსმალებს, 10 ვერსით უკან დაახევინეს და ხელთ იგდეს 131 ტყვე, ბევრი აქლემი, ჯორი და ცხენი.

იტალია

რომი. იტალიის მთავარსარდლის ცნობა. სარკადან ბრენტამდე ზარბაზნების სროლაა. კასტანევიცის მიდამოებში მტერმა მოწინავე პოზიცია აიღო, დანარჩენ ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირე მოვიგერიეთ.

გემის დატყვევება.

კოპენჰაგენი. გერმანელებმა დაატყვევეს დანიის გემი ბარგით და მგზავრებით.

უკანასკნელი ცნობები

ლონდონში პური შემოაკლდათ. სასურსათო კონტროლიორი დივენპორტი პალატაში თხოულობს ხალხს პურის ძლევა შეამციროთ. კვირაში თითო სულს 4 გირვანქა პური უნდა ეძლიოს და ნახევარ გირვანქა შაქარი. თუ ხალხმა ნებით არ შეიმცირა ეს ულუფა, ძალათ შეუმცირებენ.

—

ინგლისის მიწადმოქმედების მინისტრმა პალატაში კანონ-პროექტი შეიტანა. მან სთქვა: ქვეყანას მარცვლეულობა ეხლა ძალიან უჭირს და მიწის მოხვნას ხელი უნდა შევუწყოთ. მინიმალური ფასები ექვსი წლით დაეწესა. ეს შრომის ფასის მომატებას მოითხოვს. ხელფასი კვირეულად 25 შილინგი იქნებაო (დაახლოვებით 19 მან.). უნდა მოიხნას კიდევ 8 მილიონი აკრი და საჭირო იქნება 250,000 სოფლის მუშა.

—

ამერიკელ ჟურნალისტს დიუკონის ცნობით ნამეფარ ნიკოლოზ რომანოვს ამერიკის სამრეწველო დაწესებულებებში 70 მილიონი დოლარი აქვს დაბანდებული.

—

იუსტიციის სამინისტროს კომისიას გარდაუწყვეტია გააუქმოს სისხლის სამართლის კანონთა 102 მუხლი, რომელიც არსებულ წესწყობილების დამხობისათვის სჯიდა.

—

ალ იაბლონოვსკი „რან. ს.“-ში სწერს: ნაცნობები მატყობინებენ, რომ ერთი სოფლის ყრილობაზე გლეხებს განუცხადებიათ: „დეე რესპუბლიკა დამყარდეს, ოღონდ მეფე უსათუოდ გონიერი გვყავდეს“.

—

გუჩკოვი ინფლუენციით ავად გახდარა.

—

პეტრეს ქალაქში სპარსეთიდან დაბრუნდა გენ. ბარათოვი, რომელიც დასავლეთ ასპარეზზე გადაიყვანეს.

„საქართველოს“ დეპეშები

პეტროგრადი. ბევრნი მეკითხებიან, ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა 12 მარტს გამოცხადებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ დადგენილების შედგენა-განხილვაშიო. გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მონაწილეობა არავითარი მიმიღია.

პროფესორი ალ. ცაგარელი.

—

ფასანაური (დუშეთის მაზ.). ქვემო მლეთის საზოგადოების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: მიესალმოს დროებითს მთავრობას. მთელის ძალ-ღონით იბრძოლონ რევოლიუციონურ ხალხის მიერ მოპოებულ უფლებათა განმტკიცებისათვის თავისუფალ რუსეთის საკეთილდღეოდ; რაც შეიძლება, მალე იქმნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაამაგროს დემოკრატიული რესპუბლიკა და მიანიჭოს საქართველოს და რუსეთის ყველა ერებს პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია.

* * *

მაგრამ, ცხადია, რომ ეს ჩამორთმევა ერთბაშად კი არ მოხდება, არამედ თანდათანობით.

თუ დიდი მემამულე დარწმუნებული იქნება, რომ მიწა მას უსაზღვროდ ჩამოერთმევა, აღარ გააუმჯობესებს, შეაჩერებს ყოველსავე ამშენებლობითს მუშაობას.

ამას გარდა უსაზღვროდ მიწა-წყლების ჩამორთმევა ერთბაშად გააკოტრებდა მემამულეებსა და ყველას, ვისი ვალიც მათ აქვსთ. ეს კი საშინელს ეკონომიურ კრიზისს, ე. ი. საზოგადო კოტრობასა და მოუწესრიგებლობას, გამოიწვევდა და ამ რეფორმას გადაეღობებოდნენ წინ, როგორც დიდი მემამულენი, აგრეთვე ყველა, ვინც მათთან მჭიდრო ეკონომიური კავშირით არის შეერთებული.

დასასრულ, დიდი უსამართლობა იქნებოდა, ერთბაშად გაგვესაწყლებია და ჩაგვეგდო უმწეო მდგომარეობაში მთელი კლასი, რომელიც განსაზღვრულ ქონებრივ პირობათ მომარჯვებიან და შესჩვევიან მათგან დამოუკიდებელ ისტორიულ პირობათა გამო.

მაშასადამე, მამულების ჩამორთმევა მხოლოდ იმ პირობით იქნება შესაძლებელი, თუ მემამულეთ მიუზღავენ ჩამორთმეული მიწაწყლების ღირებულებას, ე. ი. არაფერი არ ჩამოერთმევათ უსაზღაუროდ.

მეორე მხრით, ჩამორთმეული მამულები, აგრეთვე სახელმწიფო, საუფლისწულო და სხვა მიწები, უნდა დაიჭრას და გადაეცეს წვრილ მიწისმოქმედთ.

რა პირობით?

ჯერ ერთი, ისინი მოვალე იქნებიან გადაუხადონ მამულების ღირებულება რესპუბლიკას წვრილ-წვრილად რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. ამ გადასახადებისაგან შესდგება ის თანხა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დიდი მამულების გამოსყიდვა.

მეორე, წვრილი მიწისმუშები თავისუფალი იქნებიან ყოველისავე სხვა იჯარისა და რენტისაგან და მათი დიდი უმრავლესობა ადვილად შესძლებს მოთვისებულ მამულებზე დადებული ვალის გადახდას.

და, მესამე, ეს მით უფრო ადვილი იქნება, რომ მიწაწყალი მიეცემა მათ კერძო საკუთრებად. თვითეულს მათგანს ეცოდინება, რომ, მაგალითად, ორმოცი წლის შემდეგ მის მამულს აღარაოდეს აღარ ექნება დადებული აღარც ვალი და აღარც იჯარა და მის მიერ შექმნილ გაუმჯობესებას მისი შვილნი და ჩამომავალნი დაიმკვიდრებენ და მოცილე არ ეყოლებათ. ერთი სიტყვით, ის წამქეზებელი სულიერი ბიძგი, ანუ მიდრეკილება, რომელსაცა შობს კერძო საკუთრება, გააასკეცებს შემოქმედებითს ძალას და ხელს შეუწყობს მიწისმოქმედების გაუმჯობესებას.

ამგვარად, ის, რასაც სოციალისტები ჰპირდებიან ხალხს, ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია, როგორც განუხორციელებელი, აუსრულებელი ოცნება.

ჩვენს სამიწაწყლო პროგრამას კი საფუძვლად უდევს ერთსა-და-იმავე დროს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და მისი დემოკრატიზაცია, ანუ გახალხოვნება, ე. ი. მტკიცე რეალური ნიადაგი, და მისი განხორციელება, მაშასადამე, შესაძლებელი და აუცილებელია.

ვასილ წერეთელი.

* * *

გთხოვთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრე ქართველ სტუდენტებს, რომელნიც ამ ჟამად თბილისში არიან, გამოცხადდნენ პარტიის ბიუროში მეტად საჭირო საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად. შაბათს და კვირას 14 და 15 აპრილს, დილის 11—9 საათამდე.

(ლორის მელიქოვის ქუჩა. ახალი ბანკის შენობა, შესასვლელი სამების ქუჩიდან)

(2—653—1)

ახალი ამბავი

◆ **ეპისკოპოსი კირიონი** გამოგზავნილია თბილისში სინოდის ობერ პროკურორისაგან, რათა მან მოაწესრიგოს ურთიერთშორის დამოკიდებულება რუსისა და ქართველ სამღვდელოებათა შორის.

◆ **არქიმანდრიტი გაბრიელი.** გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან ჯრუჭის მონასტრის (შორაპ. მაზრა) წინამძღვარი არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე).

◆ **მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის კურსები.** დღეიდან (15 აპრილი) თბილისის საბრეშუმო სახლთან (მუშტაიდი) არსდება მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის კურსები. კურსებზე ჩაწერა შეიძლება 17 აპრილამდე. კურსები გაგრძელდება 31 მაისამდე.

◆ **ფქვილის განაწილება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს ფქვილი მოუვიდა და ასე გაანაწილა: მეფურნეებს მისცა 4 ვაგონი „რაზმოლი“ და 1 ვ. თეთრი ფქვილი, ხოლო მეთორნეებს 5 ვაგ. „რაზმოლი“ და 2 ვაგ. თეთრი ფქვილი.

◆ **ამიერ-კავკასიის სექტანტებს** გადაუწყვეტიათ შეერთდნენ და ერთი ორგანიზაცია შექმნან. საერთო კრება სექტანტების დადგენილებით ბაქოში მოხდება. ამ დღეებში თბილისის სექტანტებს კრება ჰქონდათ და საორგანიზაციო ბიურო აირჩიეს. სექტანტები საერთოდ მკვიდრ დემოკრატიულ ნიადაგზე დგანან.

◆ **ზოგიერთი უთანხმოება.** ამ.-კავკასიის კომიტეტის თაოსნობით საგანგებო კომისია შესდგა, ა. ი. მიტკევიჩის თავმჯდომარეობით, თბილისის სამრეწველოებში ეროვნულ უთანხმოების გამოსაძიებლად და მოსასპობლად.

◆ **მხედრობის ცენტრალი ორგანიზაცია.** ბრძოლის ველიდან ჯარების წარმომადგენლები თანდათან ჩამოდიან თბილისში. კრების საგანია შექმნან მხედრობის საერთო ცენტრალური ორგანიზაცია.

◆ **თელავის ნაყაჩაღართა თოფები.** თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წევრის ა. ჭიაბეროვის მოხსენების თანახმად, კომიტეტის ბიურომ დაადგინა, რომ თელავის მაზრის ნაყაჩაღარებისაგან ჩაიბაროს თოფები და გადასცეს თბილისის მილიციას.

◆ **სასურსათო საქმე.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ელიავა დეპეშით იტყობინება ჩრდილო კავკასიიდან: გუბერნიების კომიტეტთა წარმომადგენლების შეერთებულ კრებაზე გამოირკვა, რომ ამიერ კავკასიის საჭიროების სავსებით დაკმაყოფილება სურსათის მხრივ არ შეუძლიან ჩრდილო კავკასიას. ამის გამო მიუცილებლად საჭიროა ერთნაირი ნორმის შემოღება პირველსაჭიროებათა საქონლის მოხმარებაში და აგრეთვე კარტოფილით საზრდოობას დიდი ყურადღება უნდა მიექცესო.

◆ **სასურსათო თათბირი.** აზრად აქვთ, რომ 23—25 აპრილს მოიწვიონ მომქმედ ორგანიზაციათა წარმომადგენლები სასურსათო საკითხების გასარკვევად და საერთო სასურსათო კომიტეტის მოსაწყობად.

◆ **უბნის სასურსათო კომიტეტი.** შესდგა თბილისის მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი.

◆ **ქ. მილიციის კომისარების კრება.** ქალაქის მილიციის კომისარებს კრება ჰქონდათ მილიციის უფროსის კოგანის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა საკითხი მილიციონერთა ჯამაგირების შესახებ და დაადგინა: უმცროს მილიციონერს თვიურად მიეცეს 100 მან., უფროსს 150, კომისარებს 400 მან. და კომისარის თანაშემწეთ 300 მანეთი.

◆ **ამიერ კავკასიის კომიტეტის** წევრი ჯაფაროვი ბაქოს წავიდა მუსულმანთა კრებაზე დასასწრებლად, მეორე წევრი კომიტეტისა პაპაჯანოვი ერევანს გაემგზავრა.

◆ **თავისუფლების სესხი.** ამიერ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის ხარლამოვის თავმჯდომარეობით 13 აპრილს მოხდა ბანკებისა, ქალაქის გამგეობისა, სხვა ორგანიზაციების და კერძო კაცთა კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია იმაზე, თუ როგორ შეუწყონ ხელი „თავისუფლების სესხს“. გადაწყვეტილ იქმნა, რომ აგიტაცია გასწიონ მცხოვრებთა ყველა სფეროში სესხის სასარგებლოდ. როგორც გამოირკვა, ჯერჯერობით ვაჭრებს 4 მილიონ მანეთზე მეტი მოუწერიათ ხელი, ხოლო ებრაელებს 1 მილიონ მანეთზე მეტი.

◆ **დეპუტაცია საქართველოს კათალიკოსთან.** კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს წარუდგა ქვემო ავლევის მცხოვრებთა დელეგაცია და მოახსენა, რომ მცხოვრებლები სწირავენ სკოფის საჭიროებას 3000 მანეთს. ამავე სოფლის მცხოვრებმა გიგო ნემიერიძემ 6,000 მანეთი შემოსწირა ეკლესიას.

◆ **დაატუსაღეს** მე-218 სათადარიგო პოლკის ჯარისკაცი ალ. ვართანოვი, რომელსაც „ოხრანკის“ აგენტობა ბრალდება.

◆ **ხელოვნურ წყლების ქარხნების** პატრონთა შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ მათ ტკბილეული წყლების დამზადების ნება ჰქონდესთ, თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა არ შეიწყნარა.

◆ **მასწავლებელ ჯარისკაცთა კავშირი.** 218 პოლკში დაარსდა მასწავლებელ ჯარისკაცთა კავშირი, რომლის მიზანია იქონიოს მუდმივი დამოკიდებულება სწავლა-განათლებასთან და აგრეთვე სცადოს სცადოს განავითაროს ჯარისკაცები პრაპაგანდით და ხშირი ლექციების კითხვით.

◆ **ჯარის კაცთა დეპუტატების** საბჭომ ხელმეორედ გამოსცა დადგენილება, რომ სალდათებს სასტიკათ ეკრძალებათ ტრამვაის კიბეებზე დგომა და უბილეთოდ სიარული.

◆ **ებრაელთა კრება.** დღეს 15 აპრილს ებრაელების თორაში დანიშნულია ებრაელების კრება. კრებამ უნდა აირჩიოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის მოვალეობას უნდა შეადგენდეს თბილისის ებრაელთა კულტურულ საქმეების გაძღოლა.

◆ **მოხეტიალე მუსიკოსი,** ილ. ქურხული ამ დღეებში საქართველოს მოვლას აპირებს. მას ჰსურს გამართოს ლექცია-კონცერტები. გადაწყვეტილი აქვს, შემოსავლის ნაწილი ქართულ თეტრის სასარგებლოდ გადასდოს.

◆ **კუკიის ბიბლ.-სამკითხველოს კრება.** კვირას, 16 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათ. კუკიის წმ. ნინოს უბნის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წლიური საზოგადო კრება იქმნება სამკითხველოს შენობაში (ნორიოს აღმართი № 6).

ბორჯომი

ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ადგილას გაუჩნდა ცეცხლი ტყეს ბორჯომის მამულში. ერთსა და იმავე დროს იფეთქა ცეცხლმა ჭაბისხევში, ქვაბისხევში და სხ. ფიქრობენ ცეცხლი ძალით არის წაკიდებულიო.

ახალსენაკი

ქართ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა ამით აცნობებს განყოფილების წევრთ, რომ განყოფილების წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 16 აპრილს, დილის 10 საათზე, ძმათა სანიკიძეების თეატრის შენობაში. გამგეობა სთხოვს განყოფილების წევრთ დაესწროს კრებას.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა წევრთა სავალდებულო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, მაშინ მეორე კრება ინიშნება 23 აპრილს და ის შედგენილათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში

13 აპრილს, საღამოს, ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდა თბილისის პირველ უბნის ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. კრებას თავმჯდომარეობდა ნაფიცი ვექილი ი. მაჭავარიანი. სპ. კედიამ და შ. ქარუმიძემ განმარტეს არსებული მომენტი და მომქმედ ქართულ პარტიების პროგრამები და ტაქტიკა. დაბოლოს არჩეულ იქმნა უბნის პარტიული კომიტეტი 13 კაცისაგან. კრების დაშლის შემდეგ ახლად არჩეულ კომიტეტს სხდომა ჰქონდა და შეიმუშავა პარტიულ მოქმედების გაძლიერების გეგმა.

—

შემოწირულება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეპისკოპოსმა კირიონმა ათი თუმანი შემოსწირა.

საქართველოს კათალიკოსი

მილოცვანი

ზუგდიდი. სულით და გულით მივესალმებით დამოუკიდებელ სამშობლო ეკლესიას. ვუსურვებთ ახალ გზაზე სრულს აყვავებას.

პართენ ხვანიძე.

ნაოდალევი. ნაოდალევის საკეთილმოწყოს ეკლესიის მსახურნი სიხარულით გილოცავთ საქართველოს დაქვრივებულ საკათალიკოსო კათედრის აღდგენას; ვიმედოვნებთ აღდგენილ იქმნება მარტვილის ჭყონდიდის კათედრაც. გადაეცით ახალ მთავრობას სრული თანაგრძნობა, დაე მან უწყოდეს, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ მის მიერ მოტანილ ძმობა-სიყვარულის და თავისუფლების დამყარებისთვის. გაუმარჯოს ახალ მთავრობას და საქართველოს ეკლესიას!

საეკლესიო კეთილმოწყე ბალაგანიძე

—

კულაში. კულაშის სამღვდელოება, აღფრთოვანებული საქართველოს საკათალიკოსო კათედრის აღდგენით, ულოცავს თქვენს ყ-დ უსამღვდელოესობას სამშობლო ეკლესიის ბაბილონის ტყვეობისაგან გამოხსნას. მხურვალე ვედრებას აღვავლენთ ზეციურ მამისადმი, რომ კეთილად დაგვამთავრებინოს ეს სასიქადულო საშვილიშვილო დიადი საქმე.

კულაშის ოლქის კეთილმოწყე
დეკანოზი ზოსიმე შანიძე.

სემინარიელთა საყურადღებოდ

ჩვენ, თბილისში მყოფ სემინარიელებისაგან არჩეული კომიტეტი, ვადევნებთ რა თვალ-ყურს საქართველოს ავტოკეფალიის საკითხს საერთოდ და კერძოდ თბილისის სასულიერო სემინარიის გარშემო არასასურველ მიმდინარეობას, საჭიროდ ვსცნობთ მოვიწვიოთ თბილისის და მის ქუთაისის პარალელურ განყოფილების სასულიერო სემინარიის მოწაფეთა კრება. რადგანაც კრებას ექნება თათბირი მეტად მწვავე და საჩქარო კითხვების შესახებ, აუცილებლად საჭიროა ამ კრებას დაესწროს შეძლებისა დაგვარად, ყველა სემინარიელი. პროვინციაში მყოფნი კი მოვალენი არიან გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებულები. კრება დანიშნულია 18 აპრილს საღამოს 5 საათზე ძველი სემინარიის შენობაში.

ამხანაგებო! ჩამოსულია პეტროგრადიდან საქართველოს საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად კომისარი ბენეშევიჩი; ეკლესიის საქმეების მოწესრიგებასთან დაკავშირებულია აგრეთვე კერძოდ სემინარიის საკითხიც, რომელსაც დიდი საფრთხე მოელის.

ამხანაგებო! საჭიროა ამ თავითვე ვეცადნეთ ჩვენის სასწავლებლის საქმეთა მოსაწესრიგებლად.

თბ. სემინარიის მოწაფეთა კომიტეტი.

უპურობა უცხოეთში

„ბ. ვ.“-ში ნ. ტასინის წერილია მოთავსებული პარიზიდან. ამ წერილში მოჰყავს ფრანგ ეკონომისტის პროფესორ ჟან ბრიუნის სიტყვები: „ჩვენ (ფრანგები) ბევრ პურსა ვჭამდით და ცოტას ვფიქრობდით მასზე, ეხლა კი ცოტა უნდა ვჭამოთ და ბევრი ვიფიქროთო.

მცოდნეთა ვარაუდით საფრანგეთს წელს 100 მილიონ ფუთამდე პური დააკლდება ხალხის საკვებად. ოფიციალის ცნობებით საფრანგეთში პურის მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს. 1912 წ. საფრანგეთში 91 მილიონი კინტალი პური მოსულა (კინტალი 3 ფუთი და 5 გირვანქაა), 1913 წ. 87 მილ. 1914 წ. 77 მილ. 1915 60 მილ. ნახ. 1916 წ. კი მხოლოდ 58 მილიონი კინტალი. 1917 წლის მოსავალს უფრო ნაკლებს ელიან.

პურის მოთხოვნილება კი ყოველწლივ იზრდება. 1908 წელს თითო სულზე საჭირო იყო წელიწადში 12 ფუთი პური, 1912 წელს თითო სულს უკვე 15 ფუთზე მეტი სჭირდებოდა. ფრანგები რუსებზე ნაკლებ პურს როდი სჭამენ. ყველაზე ნაკლები პური გერმანელებს უნდებათ, თითო სულზე წელიწადში მხოლოდ 8 ფუთი.

წელს საფრანგეთისათვის საჭიროა 100 მილიონი ფუთი პურის შემოზიდვა უცხოეთიდან, ინგლისს სჭირდება 165 მილიონ ფუთზე მეტი, იტალიას—50 მილ. ბელგიას—19 მილ. ჰოლანდიას—25 მილ., ნეიტრალ სახელმწიფოებს 100 მილიონ ფუთამდე. სულ 459 ფუთი.

ევროპის სახელმწიფოებს შეეძლოთ პური შემოეტანათ შეერთებულ შტატებიდან 100 მილიონ ფუთამდე, კანადიდან 90 მილიონ ფუთამდე, ინდოეთიდან 60 მილიონ ფუთამდე, არგენტინიდან 40 მილ. ფუთ. ავსტრალიიდან 120 მილიონ ფუთამდე; სულ 410 მილ. ფუთი.

თუნდაც მათ მოახერხონ ამ პურის შეზიდვა, მაინც დააკლდებათ წელს 139 მილიონი ფუთი. მაგრამ ეხლანდელს პირობებში ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მათ მოახერხონ ზემოხსენებულ რაოდენობის შეზიდვაც, მაშასადამე, უფრო მეტი პურის ნაკლებულობა ექნებათ მოკავშირე სახელმწიფოებს. წერილში არ არის მოყვანილი, თუ გერმანეთის და მის მოკავშირეთა მდგომარეობა ამ მხრივ როგორია.

ისიც საგულისხმოა, რომ საფრანგეთში ამ უკანასკნელ დრომდე პურის ნიხრი 7 კაპეიკი იყო, მაგრამ მთავრობა იხდიდა ბაჟს გირვანქაზე 4—6 კაპეიკამდე, ასე რომ საფრანგეთის მცხოვრებთ არა პირდაპირის გარდა სახადით, გირვანქა პური 11—16 კაპეიკამდე უჯდებათ.

ქართულ სიმღერა-გალობის ბედი

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა სიმღერებმა და საგალობლებმა არაჩვეულებრივი ქუჩური ხასიათი მიიღო. შეიჭრა ჩვენს მუსიკაში სულ სხვა გემოვნება, სხვა მიმართულება. მოდას ვერ ასცდა ჩვენი სიმღერები და საგალობელნიც.

როგორც მშობლიურ მუსიკის მოყვარული თვალყურს ვადევნებდი და ეხლაც ბევრი შემთხვევა მქონდა მომესმინა და გამეგო ყველგან: საზოგადოებასა, ეკლესიაში, სცენაზედ, ოჯახში, სასწავლებელში და სხვაგან, როგორ და რა შინაარსიან სიმღერა-გალობას ასრულებს ჩვენი ხალხი, ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა. ვიტყვი მოკლედ და გადაჭრით, რომ ყველგან გადაგვარებაა. ბევრი იმ აზრისაა, ვითომც ჩვენი მუსიკა ვითარდებოდეს. ეგ დიდი შეცდომაა და ვინც ღრმად ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ ქართველები აღარ ვმღერით ჩვენს მშობლიურ კილოებს, აღარ ვგალობთ და არავისაგან გვესმის დარბაისლური ქართული, სასოების მომგვრელი, ნაზი და ტკბილი გალობა. ეს კი ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია იმისა, რომ ჩვენი ხალხი გაურბის ეკლესიას. სკოლებშიაც სრულიად არაფერს ასწავლიან, ან თუ ასწავლიან, ასწავლიან სხვა კილოებს ქართულის სიტყვებით, რასაც მშობლები ყურადღებას არ აქცევენ, არ უწევენ ამ მოვლენას ანგარიშს და, რასაკვირველია, ამას მოსდევს ჩვენის ბავშვების დამახინჯება და გადარჯულება. არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართველი მშობელი შეჰკითხვოდეს სასწავლებლის უფროსს: ჩემს შვილს რას ასწავლითო. არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართულ სკოლების მოწაფეების მშობლებს მოეთხოვნოთ, რომ სავალდებულოდ ყოფილიყო ქართულ სიმღერა-გალობის სწავლება, რაც ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი მომავალ თაობისათვის. ქართველთა ოჯახებიდანაც განდევნილია ქართული სიმღერები; მათს ნაცვლად მღერიან სულ რუსულ შაბლონურ რომანსებს; ხანდისხან ქართულ რომანსებსაც წამოიძახებენ და ამბობენ, ქართულიაო, მაგრამ კილოები სულ სხვებისაა, ჩვენი მხოლოდ სიტყვებია. აი მაგალითად ავიღოთ „ბინაცვალე“. ნეაპოლიტანური მუსიკა და სიტყვები ჩვენი ახალგაზდა პოეტის გრიშაშვილის ლექსისა, და ბევრი კიდევ უცხო ხალხის კილოებია და ჩვენ კი ჩვენად ვნათლავთ. ეგეც კია, რომ ქართველებს რომანსები ცოტა გვაქვს და რაც არის, იმასაც მიმბაძველობითი ხასიათი აქვს და ევროპიულ რომანსების მინაგვარი, დღეს საქართველოში აღარ მოგვეპოვებიან და იშვიათია ქართველი მომღერალი, ან მგალობელი; არ არის ერთი რიგიანი სამაგალითო მომღერალ-მგალობელთა გუნდი არც საეროვნო, არც საეკლესიო. თუ ვინმე ქართულ სიმღერა-გალობის მცოდნეც აღმოჩნდა ჩვენში ორიოდე კაცი, იმათაც გზას არ ვაძლევთ.

გადავხედოთ ახლა სოფელს: ქალაქებში ნამყოფი სოფლის ხალხიც არ ჩამორჩა ამ მოდას. ქართლში, გორის მაზრის ერთ სოფელში გლეხების თოხნური „ახ ზაჩემ ეტა ნოჩ“-ის კილოზედ მოვისმინე. დასავლეთ საქართველოს მკვიდრნიც არიან ჩამორჩენილნი ამ დარგში; იქაც ძველებურ შესანიშნავ ცოცხალ კილოების მაგიერ როგორიცაა: „ალიფაშა“, „შვიდკაცა“, „ხასანბეგური“ და სხვა,—აუღიათ რუსული ფანდურა—„გიტარა“ იქაურ ახალგაზდობას, ქალია თუ კაცი, უჩხარუნებენ გაუთავებლად „ტრიპაკა“-ს, მარშებს და დამღერიან „პასლედნი ნონიშნი დენოჩეკ“ და სხვ... ქართველს ქალს ეთაკილება და რცხვენია, რომ დაირაზედ მაინც დაუკრას, ან ჩონგურზედ.—ყოველივე ამის მიზეზები-კი, შეიძლება, ბევრმა ძველ, წარსულ დროს, ძველ მთავრობას, ძველ რეჟიმს მოახვიოს—რაზედაც არ დავეთანხმებით და ვიტყვით, რომ მიზეზნი ისევ ჩვენ ვიყავით. ჩვენ რომ ქართულად გვემღერა და გვეგალობნა, განა ძველი მთავრობა დაგვიშლიდა და აგვიკრძალავდა?! რასაკვირველია, არა!

ჯერ ეხლაც, როდესაც ყოველივე უფლებით ვსარგებლობთ—გამოდიან ისეთი გადაგვარებული ვაჟ-ბატონები, რომლებიც კიდევ არ იშლიან და ეტრფიან გადაგვარებულსავე სიმღერა-გალობას და ცდილობენ გაასაღონ ერთი-ასად თავიანთი დამპალი საქონელი, ე. ი. 4 და მეტ ხმიანი გადამახინჯებული სიმღერებ-საგალობელნი. გულ მოსაკლავია უფრო იმიტომაც, რომ ამ საქმეში სამღვდელო პირებიც ურევიან და ხელს უწყობენ ამ არა საკადრის საქმეს. ჩვენ მოვითხოვთ უშიშრად და ხმამაღლა: არ გვინდა მაგათი „განვითარებული მუსიკალურ კანონებზედ დაწყობილი სიმღერებ-საგალობელნი“, თავიანთვის შე ნახონ! ჩვენ გვსურს წმინდა ქართული, 3 ხმიანი ძველებური კილო-სიმღერები და დარბაისლური საეკლესიო საგალობელნი! დიდი სიფრთხილე ჰმართებს ამ შემთხვევაში ჩვენს სამღვდელოებას; უნდა მოიწვიოს მცოდნენი, შეაკავშიროს, აილონ და დაილონ, იმსჯელონ ამ საგანზე, გამოარკვიონ ყოველისფერი ავ-კარგი, გაიგონ და მოისმინონ რა არის ქართული და რა არის გადაგვარებული და შემდეგ ისე გადასცენ ქართულ გალობის ბედ-იღბლის საქმე იმ პირთ, ვინც აღმოჩნდებიან მართლა ზედ-მიწევნით მცოდნენი ჩვენის მუსიკისა. სჯობს ასჯერ გაზომა და ერთხელ გაჭრა.

ველით მოუთმენლად და იმედია ერთხელ და სამუდამოდ გადასწყდება და კეთილად დაგვირგვინდება ჩვენის სამღვდელოების წყალობით ქართულ საეკლესიო გალობის საქმე.

ლონგინოზ მღვდლისშვილი.

ჩვენი შეურაცხყოფილი

(ბოდბის მონასტრიდან)

საქართველოს ეკლესიის უწმიდეს ადგილად ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი ითვლება.

აქ უქრობელ სხივოსნობით ჰნათობს გვამი ღმერთ შემოსილ ქალწულისა, რომელმაც ღვთიურის სიტყვით გაანათა—ქალწული სახე საქართველოსი.

მთელი საქართველო და კერძოდ კახეთი გულ-მკერდით იფარავდა ესოდენ უძვირფასეს ადგილს მრისხანე მტრისაგან და თავგანწირულ სპაობით შეურაცხყოფას გადაარჩინა გვამი წარუპარველი.

მაგრამ დადგა 1800 წლების ჯანღიანი დღეები და პირველი შეურაცხყოფის ხელი ამ უწმიდეს ადგილს მოჰხვდა. საქართველოს ეკლესიის ძარცვის და იავარ-ყოფის ისტორია აქედან იწყება. პირველმა რუსმა ექსარხოსმა ულირსი ხელი შეახო უქრობელ გვამის სავანეს, მაგრამ იგი მეუფებლად დაისაჯა განგებისაგან.

და შეწუხრდა ტაძარში. დაიმღვრა საფლავი ქრისტეს ნათლის მაუწყებლისა. განიდევნა ენა პიროქრო, დაუდუმებლად შემასხმელი და მაქებელი. გაშიშვლდა ჩვენთვის მისი ოქროფეროვანი კედლები და სანაცვლოდ შეიძრწა ჩვენი სირცხვილეულობით და მგლოვარობით.

ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას პირველად აქ ჩასცეს მახვილი, პირველ აქ აგვხადეს მანდილი ედემისა და სიწმინდისა.

ჯერ ისიც კმაროდა ჩვენს საგლოველად, რომ ქართველთა განმანათლებელის საფლავზე მოსპეს ქართულად—ღვთიური ლოცვა; მაგრამ მეტის მეტად გულშემზარავი იყო იღუმენიების უსინდისო საქციელი. დღეს მათი უკანასკნელი უფასო წარმომადგენელია ა. ვისოცკისა, რომლის დროსაც უსამართლობამ და მოლოზანთა უღმერთო ტანჯვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ვერ მოვთვლით იმ უსამართლობას, რითაც იგი სასტიკად აჯილდოვებდა მოწაფე ქალებს და მოლოზნებს, რომელთა უმრავლესობას რუსობა შეადგენს. იგი ნამდვილი ინკვიზიტორია, ავადმყოფი და ველური. ოსეცკის ძლიერებით წაქეზებული, იგი მხნედ განაგრძობდა ბარბაროსობას. მაგრამ ყოვლად ძლიერმა რევოლიუციამ მისი ბჭენიც დაამხო და ადგილობრივ ქვეშევრდომებმა შიშნეულად გაბედეს მისი გადაყენება. მაგრამ აქ ჩარეულა ნაექსარხოსალი პლატონი, და ახლა უპირებიათ მისი იქ დარჩენა, რათა უფრო საგრძნობლად შეაგინოს საქართველოს თავისუფალ ეკლესიის წმიდათა წმიდა.

არ უნდა იქმნეს უგულისხმოდ დატოვებული მისი „მოღვაწეობა“ და თუმცა მას დღემდე არა ჰყოლია თავის უწყურ საქმეთა მიმთვალველი, მაინც, როგორც დიდი ბრალეული, განდევნილ უნდა იქმნას, არა როგორც მოლოზანთა სასტიკი ჯალათი და ძველის რეჟიმის მხნე მატარებელი, არამედ როგორც ჩვენის ეროვნების შეურაცხმყოფელი.

ნუ თუ სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ ამ ბრწყინვალე დროშიც სამოქმედო ნება ეძლევა ასეთ ვერაგ ადამიანს?

საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის გაზაფხული მაშინ დაეტყობა, როცა ამ ბოროტ ჩადრწამოსხმულ ნარებს შემოდგომა დაუდგებათ, ხოლო წმ. ნინოს წმიდა საფლავზე მშობლიურ ენაზე შესრულდება ღვთისადმი ლაღადი და სასმინარი.

გოგლა ლ.

ხევსურეთი და ძველი მთავრობა

(ხმა ხევსურეთიდან)

რაც რომანოვიანთ გვარეულობა საქართველოში გაბატონდა, მას შემდეგ ხევსურეობას მოსვენება აღარ ჰქონდა. ჩაუყენეს თავიანთ წესზე თიანეთში ბოქაულ-მაზრის უფროსები, იმათაც ისეთი ჩაფრები ჩაუყენეს, რომლებიც ხალხს, დარიგების მაგიერ, გონებიდან გადარევდა. ამავიდოდნენ ს. ბარის-ახოში, ბატონები ხდებოდნენ, დაიბარებდეს სასალდათოებს და ეტყოდეს: მე თუ ორ ფუთ ერბოს მომცემ, გაგათავისუფლებო, შენ ჩვენთან ნუ მოხვალ, დაიმალეო. დამალვას კიდენ ყაჩაღობა მოჰყვა. აიო, ხევსურეთი სალდათს არ იძლევაო, იძახოდენ, უარზე არისო. თვითონ კი გააყაჩაღეს ხალხი. უფრო კი ყაჩაღები თვითონ იყვნენ. გამართეს ორწალში პოსტი. სულ თუშები გადმოიყვანეს ჩაფრებად, ვითომ ყაჩაღებს დაიჭერენო. ამათ უფრო მეტი ყაჩაღობა დაიწყეს. ს. როშკელი ბაბო წიკლაური მიდიოდა ტფილისში, მიჰქონდა ერბო. ორწყალში ჩაფარმა შიო ბარხაჯაურმა ჯერ ბინა შესთავაზა და მერე ერბო მოჰპარა.

დღეს შეიცვალა დრო. მათს სამაგიეროთ ჩადგა ახალი მთავრობა, ამოვიდა ხევსურეთში შალვა ქარუმიძე. ისეთი დარიგება მისცა ხევსურეთს, ხალხი იძახის: სინათლე დავინახეთო, აქამდის ამისთანა დამრიგებელი რო გვყოლიყვა, განა ასე დავიჩაგრებოდით! ვინც გასული ხალხი იყვა ყაჩაღათ, ისინიც მოიდნენ, განუცხადეს, ვემორჩილებით ახალ მთავრობასო. ისეთი სიმშვიდეა, ამისთანა სიმშვიდე აროდისაც არ ყოფილა ხევსურეთში. კიდეგაც შალვასთანა დამრიგებელი ვინმე ამოვიდოდა, უფრო კარგი იქნებოდა ან წინათ ვინმე ამისთანა დამრიგებელი გვყოლ ყვა.

მგელიკა არაბული.

წერილი დონის როსტოვიდან

ხუთ აპრილს დონის ნახიჩევანში გაიმართა სომხების ბანკეტი ნაფიც ვექილ გრ. ჩალხუშიანის თავმჯდომარეობით, რომელმაც დასაწყისში დამსწრეთ მიულოცა ახალი წყობილების დამყარება და შემდეგ მოუთხრო მათ თვისი შთაბეჭდილებანი კავკასიაში მოგზაურობის დროს.

სხვათა შორის, მან სთქვა: „მუსულმანების და ქართველების წარმომადგენლებთან საუბარმა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თან და თან სუსტდება ნაციონალური შუღლი და განხეთქილება, რომელსაც ხელოვნურად ქმნიდა ძველი რეჟიმი. იწმინდება შოვინიზმით და კაცთმოძულეობით გაჟღენთილი ატმოსფერა. კერძო გამოსვლები და კერძო პირთა ყვირილის ხმები იხრჩობიან შეთანხმებულ მუშაობის საერთო ზღვაში.“ შემდეგ მიუთითა ნ. ჟორდანიას მოხსენებაზე მომენტის ტაქტიკის შესახებ და დასძინა, რომ „ეს მოხსენება მიღებულ იქმნა ამიერ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტებს მიერ“ და მოუწოდა სომხებს: „სომხის ერმა ამ ჟამად არ უნდა წამოაყენოს ნაციონალური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი, რათა ამით ხელი არ შეუშალოს დროებითი მთავრობს უფრო სერიოზულ საკითხების გადაჭრაში?

ფრანც-მოორი.

გურიაში

რევოლუციის პირველი აღფრთოვანება ნელ-ნელა ჰქრება. ახალ დროს გურულები სულ ადრე შეეჩვივნენ და ეს არც საკვირველია, რადგან მათთვის ახალი ჯერ არაფერი ცვლილება მომხდარა; ყველა ის, რაც ახლა სხვაგან ხდება, გურიაში ცხრაას ხუთს მერე თითქმის უკვე იყო, იყო ფარული და დღეს აშკარაა.

რევოლუციის პირველ დღიდანვე გურულები შეუდგნენ დროებით მთავრობის მოწყობას. ძველი მოხელეები მაზრის უფროსიდან დაწყებული უკანასკნელ „გოროდოვომდე“ გადააყენეს. ქ. ოზურგეთში შესდგა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელთა არჩევნები რეფერენდუმით დაადასტურა მთელმა მაზრამ. კომიტეტმა სამი წევრისაგან შეადგინა სამაზრო კომისარიატი, რომელიც ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც ასრულებდნენ მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე და ადგილობრივი (გურიანთის) ბოქაული. დანარჩენ ორ საბოქაულოშიაც დაარსდა კომიტეტი და აირჩიეს კომისარები. ასევე მოაწყვეს სამამასახლისოებშიაც.

ხალხი კომიტეტებსა და კომისარებს სრულის ნდობით ეკიდება. არჩეულებიც ჯერჯერობით ენერგიულად მუშაობენ. ძველ მოხელეთა „მოღვაწეობა“ ჯერ სავსებით არ არის შესწავლილი, მაგრამ ცხადია, ბევრი რამ აღმოჩნდება. მცირედ განიხილეს სამხედრო შეწევრობა და აღმოაჩინეს, რომ დიდძალი ფულები თურმე უკანონოდ რიგდებოდა—ბევრს მუქთად აძლევდნენ, ბევრს ღარიბს კი აკლებდნენ.

—

აღდგომა დღეს ოზურგელები და მის ახლო მცხოვრებნი ქალები და კაცები, დილით, დროშებით და მარსელიოზის სიმღერით გაეშურნენ ექადიის ეკლესიის სასაფლაოზე და იქ პოლიტიკურ მიცვალებულთა საფლავებს გრძნობიერი სიტყვებით მიულოცეს. აქედან პროცესია გაეშურა სოფ. მაკვანეთს, იქიდან კვირიკეთს და შემდეგ დვაბზუს. ყველგან ითქვა შესაფერი სიტყვები. ხალხმა მუხლმოდრეკით პატივი სცა გმირთა საფლავებს, რაზმელებმა (მილიციონერებმა) კი თოფების გასროლით სამხედრო პატივისცემა აღნიშნეს.

—

ნ აპრილს ციმბირიდან დაბრუნდა ოზურგელი დათიკო ერდიშ. ქარცივაძე (დ. მეჩონგურე). დ. ქარცივაძე ცხრაას ხუთში ჯაბუკი აფიცერი იყო, მიემხრო მოძრაობას და წვრთნიდა წითელ რაზმელებს, რისთვისაც გაასამართლეს და, სასჯელის მოხდის შემდეგ, ციმბირში გადაასახლეს. აუარება ხალხი მიეგება ოზურგეთიდან 2 ვერსზე, შეისვეს მხრებზე და სახლში ისე მიიყვანეს. ცხადია, მისალმების სიტყვებიც ითქვა. მასვე მიეგება ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები და სამხედრო სალამი მისცეს.

—

მართალია, მთელ გურიაში მარტო დასელთა გავლენაა, მაგრამ ეროვნულმა კითხვამ, საქართველოს **ტერიტორიალურ ავტონომიის** მოთხოვნამ, აქაც იჩინა თავი. ხალხის მასსას ავტონომია რაღაც საშიშროებათ აქვს წარმოდგენილი და ახლაც ისევე მსჯელობენ, როგორც ცხრაას ხუთში. პარტიაში კი კულტურულ ავტონომიის მომხრენი ბევრნი არიან, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ეს კითხვა ჯერ სავსებით გათვალისწინებული არ არის და ელიან ზევიდან დირექტივებს.

6—7 აპრილს თეატრის დარბაზში გაიმართა კამათი ეროვნული საკითხის შესახებ. აუდიტორია სავსე იყო. ერთი რამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ—მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს პატივისცემით ეპყრობიან.

—

დეზერტირები გურიაში შედარებით მუდამ ნაკლები იყო და ახლაც ნაკლებია, მაგრამ ხალხი ყველგან (მიტინგებზე) მოითხოვს ყველა წავიდეს ბრძოლის ველზე და დაიცვას თავისუფლება.

—

დარი მშვენიერია, მიწა გამოგვალულია, რის გამო ხვნა-თესვა შეფერხდა. აბრეშუმის ჭიის გამოყვანის დრო უკვე დადგა, მაგრამ ბაზარში ჯერ თესლი არსად სჩანს.

ვიმეორებთ ჩვენს საერთო მრწამს—შრომა და მეურნეობის დაწყება ორივე სქესისაგან—სხვაგან იმედი ნუ გვექნება.

ვინც უნდა იყოს.

დაბა-სოფლები

გურია. როგორც ამას წინად იყო მოხსენებული „საქართველოში“, გურიაში მოაწყო სამღვდელოებამ საოლქო და სამაზრო საძმო საბჭოები, რომელშიაც შედიან სამღვდელოების და ერის კაცთა წარმომადგენელნი საეკლესიო საქმეების მართვა-გამგეობის საწარმოებლად. ასეთი ორგანიზაცია ძლიერ მოსწონებია მის მეუფებას, სრულიად საქართველოს კათალიკოზის მოსაყდრე ეპისკოპოს ლეონიდეს, რომელმაც ამცნო მღ. ე—ნე ჩხაიძეს: მომიწონებია და დამიდასტურებია საბჭოების კანონიერება და გონიერად მოწყობა. ამის შემდეგ მისი მ უფების ბრძანებით საეპარქიო კანცელარია მიწერ-მოწერას და საქმიან დამოკიდებულებას იქონიებს ხსენებულ საბჭოებთან. ყოვლად სამღვდელო პიროსს, რომელიც დროებით მართავს გურია-სამეგრელოს ეპარქიას, მიეცა წინადადება მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობის ლეონიდისაგან ამ გვარადვე მოაწყოს საბჭოები სამეგრელოშიაც.

გურიის სამღვდელოების სამაზრო საბჭომ თავის კომისარები დაუნიშნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს და საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს ოზურგეთის განყოფილებას.

აქაური

—

ს. პატარძეული (გარე-კახეთი). უკანასკნელ ხანებში ქურდობა მეტად გახშირდა. იპარავდენ საქონელს, ჰსტეხავდნენ სახლებს, დუქნებს და სხვ. მეტის მეტ მწვავე ხასიათს მიიღებდა იგი, რომ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს, ბ-ნ კ. ბილანიშვილს და მიხ. ჯიღაურს არ აელაგმათ მათი თავისუფალი მოქმედება. ქურდებს გადაახდევინეს ჯარიმა და გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ამიერიდან არ გაჰბედონ ასეთი უსინდისო საქციელი და პირში თუ ლხინში სოფლის ნამდვილი შვილები შეიქნენ. მოკლე ხანში გაიხსნება კოოპერატიული დუქანი, რომელიც, რასაკვირველია, დიდად წასწევს სოფელს.

12 აპრილს დიდი უბედურება მოხდა. ტიტიკო მეხაშიშვილს უცაბედად თოფი გაუვარდა და შემოაკვდა თავისი დედა.

ხალხში დადიან ყველა პარტიის წარმომადგენლები, რომელთაც მთლიანად ვერ აუხსნიათ ხალხისთვის თავიანთ პარტიების მნიშვნელობა. მათმა ასეთმა მოქმედებამ სოფელში გაუგებრობა დაჰბადა. სოფლელები შეშინებულები არიან: მეფე უნდა დაგვისვან, ბატონყმობა ისევ აღსდგებაო.

გოგლა.

—

ხევი. კვირას, 12 მარტს, სტეფანწმინდაში სასოფლო სკოლის დარბაზში თავი მოიყარა ქვემო-ხევის საზოგადოების ხალხმა, და გაიმართა საერთო მიტინგი. კრებას დაესწრო 200 მდე კაცი, აგრეთვე შემოუერთდენ ხალხს ადგილობრივი კამანდის სალდათები და ფოსტის მოხელეები. სკოლის დარბაზზედ შრიალებდა ორი წითელი ალამი და ერთი წითელი ალამი ხელთ ეპყრათ სალდათებს. კრებას, მამასახლისმა ა. ფიცხელაურმა აუწყა მიზანი დღევანდელის ყრილობისა. შემდეგ ხალხმა ერთის მხრით აირჩიეს ყრილობის თავმჯდომარედ ადგილობრივი მღვდელი ბართლომე ღუდუშაური, რომელმაც აუხსნა ხალხს მდგომარეობა საქმისა, მომავალის ბედნიერება ძველის მთავრობის დამხობით და ახალის წესწყობილების შემოღებით. შემდეგ რუსულს ენაზედ მისალმა ხალხს და სალდათებს როტის უფროსი და მიულოცა ძველის რეჟიმის მოშლა-მორღვევა და თავისუფლების მოპოვება სალდათებისვე ხალხთან შეერთების მეოხებით. შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე კაცმა. ხალხმაც საკმარისად შეისმინა საქმის ვითარება და მოითხოვა ერთის პირით ძველის მოხელეების გადაყენება და კომიტეტის შედგენა. თან გაბედვით და შეუშინებლივ გამოაცხადეს ძველ მოხელეების მიერ ჩადენილნი ბოროტ-მოქმედებანი და გაჰყვიროდენ: მე ამოდენა ფული დამტყუეს, მე ამოტელა წამართვეს და მცემესო. მაგრამ თავმჯდომარემ ხალხსა სთხოვა, მაგისი დრო არა გვაქვს რომ ეგ საკითხი ამ დღეს გადავსწყვიტოთ, ახლათ დაწერებულს კომიტეტთან იჩივლეთ და ისენი გაგასამართლებენო. ახლა ამოირჩიეთ ახალი წევრი კომიტეტისა, ვინცა ხალხს გნებავსთო.

ცოტა ბაასის შემდეგ ხალხმა აირჩია ხუთი წევრი კომიტეტისა თავიანთი კანდიდატებითა და საქმის მწარმოებლით. ესენი არიან: მღ. ბართლომე ღუდუშაური, ანდრია კობაიძე, გიორგი ხარაიშვილი, ლევანა დავითაშვილი და გიორგი კვარაცხელია (სეკრეტარია). ხალხი აღშფოთებით თხოულობდა ძველის მოხელეების გადაყენებას და ასახელებდა მათ მიერ ჩადენილს ბოროტებასა; ერთი დ. მარსაგიშვილი ყვიროდა 400 მ. ფულიც გამომართვეს ქრთამი და შვილიც წამიყვანეს სალდათადაო. მეორე გ. სვილიაური გაჰკიოდა: ვალი ავიღე 20 მანეთი, კავკავში სიმინდის საყიდლად წაველი, დამხვდენ წინა, ბეგარა არისო, 10 მ. გამომართვეს, სამი შუშა (ბოთლი) არაყი მაყიდვინეს და ორი მანეთიც გადმომკრეს და ბეგარა კი არ ამცდაო. მესამე უფრო საყურადღებო ამბავს შესჩიოდა ხალხს, სოფ. ართხმოში მცხოვრები ხევსური, გოგოთური არაბული: ეს ხევსური სახით მკრთალი, ავადობისაგან მოუძლურებული, ჯაფისგან წელში და მხრებში მოხრილი, ხნიერებით 60—70 წლისა, იმ სოფელში იმაზედ უფრო საწყალი არავინ ყოფილა. ამ ხევსურმა მოისურვა მაღალს მოაჯირზედ ასვლა, და იქიდამ გადმოძახება ხალხისთვის თავისი ბეჩაობისა; მაგრამ სისუსტისა გამო კედელზედ ვერ შეხდა და ხალხმა ხელით აიყვანა; მან ასე დაიწყო თავისი საჩივარი:

„ხალხნო!—აბა ჩემი საჩივარიც მოისმინეთა, გან არ იცით, რომ ჩემზედ ბეჩავკაც ართხმოში არაასო, ფეხზედ ჯღანნ არ მაცვიან და ტანზედ პერანგ მექვეთებისა, ამ ტყავთ მეტი არაი მაქუს, ჩემთვის გროშ არსაიდ არის, რომ ნავთ და თამაქოი ვყიდდ. გუშინწინ მედდნენ სამ სტრაჟნიკ-ჩაფარ მთაზედ ზოვებ ჩამოსულ, სახემწიფო გზაი შეკრულ და ბეგარაზე მედდავით კომლზედ, კაცო. თუ არ გამოედებითა, რამტველიც კაც ხართ, იმდენ ხუთ მანათ უნდა გამოიღათაო. აბა რომელ წავიდოდა ბეგარაზედ?—ახალგაზდებ სრულ ომჩი იყვნენ და ბებრებ და დიაცებ ხომ არ წაედებოდნენო. წამაგვიარეს და კომლზედ ხუთ მანათ თეთრ გვართვეს. ახლ საგებელში ავამტყოფ კაც ვეგდდი, შამამიცვიდნენ სახლში: ან წამაედავ ბეგარაზედ, ან თეთრ გვიშოვნეო. აბა რა მქონდა,—რას მივცემდი? ანა და ავათმყოფ და ტიტველ-შიშველ კაც სად უნდა წავყოლდი მთაზედ!? მეტ გზაი აღარ იყო, სულთა-მხუთავებივით თავს მადგნენ სამსამ—შეიარაღებულ სტრაჟნიკებ. წაველ, ვისესხ მარტიასგან ხუთ მანეთ და მივეც დრაჟნიკებს; —ეგ როგორ სამართალ არის, ხალხნო: თქვენის თავის ჭირიმ, თუ ხუთ მანათს არ მივცემ ბეგარაი არის, და თუ მივცემ-კი, აღარ არის ბეგარაი?.. მაგის სამართალს ველი ხალხს!“

აი ეს არის მწარე ნაყოფი რომანოვიანთ გვარისა და მათის გარყვნილის მოხელეებისა.

კალმის წვერი.

შემოწირულებანი

ბლაღ. ალ. [illegible] ნადიმზე (ს. ნინო წმ ნდა) ქართულ რუსულად შერეულ ლიპარაკისთვის.—გადახდილი ჯარიმა, 12 მ. 45 კ., ვუძღვნით ეროვნულ კომიტეტს. თავის საჭიროებათა მოსახმარად.

გ. ლეონიძე, შ. მათიკაშვილი.

—

თბილისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებმა, კეთილ ინებეს და აღგვითქვეს ჩვენ, დ. საჩხერეში გადამწვარ და უმწეოთ დარჩენილ ებრაელებს მატერიალურის დახმარების აღმოჩენა 1500 მანეთისა. დიდი მადლობა მოგვიხსენებია.

ებრაელთა მონდობილობით

რაბინი აბრამ კაკოზაშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი ამხ. „საქართველო“.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯანოვისა).

მიხკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ტელეფ. „914“ და „606“
[illegible]

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საიჯარო სახლ. „ღ. ბაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონჩა“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ქარების (რევმატიზმის),
ნეკრესის
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ახალ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.